№ 78
ოთხშაბათი, 10 აპრილი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

	თვე	კ.		მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 78
ოთხშაბათი, 10 აპრილი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდ
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს რვა მანეთად (8 მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

კახური ღვინოები.

მთავარმა კანტორამ
დ. ზ. სარაჯიშვილისამ
ტფილისში

1902 წლის 4 აპრილიდგან დაიწყო ქ. ტფილისში ვაჭრობა

მხოლოდ კახურის ღვინოებით

ფასები—ბოთლი 30 კაპეიკიდგან, ვედრო 4 მანეთიდგან. ნარდ და მუდმივ მყიდველებს ღვინო დაკლებულ ფასად დაეთმობათ. ვინც 10 ბოთლზედ არა ნაკლებ დაიკვეთავს, იმას კანტორა სახლში გაუგზავნის ღვინოს.

ღვინო გაიყიდება საკუთარის (კახეთი, სოფ. ბაკურციხე) და კახელ მემამულეთა საუკეთესო ვენახებისა: ღვინოებზედ თვალ-ყური ეჭირება და საზოგადოდ ამ საქმეს გაუძღვება სპეციალისტი, გამოცდილი მეღვინე.

ღვინო გაიყიდება:

ტფილისში: 1) საწყობთან (გოლოვინის პროსპ. დ. დობრჟანსკის სახლი, სახაზინო თეატრის პირდაპირ), 2) დეპოში № 1 (სასახლის ქ., საკუთ. სახ.), 3) დეპოში № 2 (ვორონცოვის მეიდ., ს. ნარიმანოვისა) და 4) ტფილისის საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ბაქოში: საკუთარ საწყობში. (5—324—2)

სამკერვალო
ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.** (13—287—11)

ქართული თეატრი

ბედნიერ დღეებში, აღდგომის კვირას,
ქართულ დრამატიულ დასის მიერ გაიმართება **სამი წარმოდგენა**
◆ **დაკლებულის ფასებით** ◆

I

ორშაბათს, 15 აპრილს,

ქართველი დედა

გადმოკ. ისტ. დრ. 4 მოქ. ავ. ცაგარლის მიერ.

II

ხუთშაბათს, 18 აპრილს,

კონსტანტინე ბატონიშვილი
(ქეთევან წამებული)

ისტ. დრ. 5 მოქ. და 6 სურ. ალექსანდრე ყაზბეგისა.

III.

კვირას, 21 აპრილს (კვირა-ცხოვლობას),

გულჯავარ, ლეკის ქალი

ისტ. დრ. 3 მოქ. ავ. ცაგარლისა.

მსხვერპლი მსხვერპლისათვის

თანამედროვე დრამ. 3 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ანდრონიკაშვილისა, კარგარეთელი, რჩეულოვისა და სხვ. ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, საფაროვი, იორდანოვი, რომანიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი დაკლებულია:

ბილეთები ამ თავითვე იყიდება.

პარტერში 50 კაპეიკიდგან 1 მ. 50-მდე, ლოჟები 3 მ., კუპონები ლოჟებში 80 კ., გალერეია 20 კაპ., შეგირდებისათვის 40 კ.

რეჟისორი ვალ. გუნია.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი ამით აუწყებს წევრთ ამ საზოგადოებისათ, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია **მაისის** 11, სალამოს $7\frac{1}{2}$ საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

კრების განსახილველია:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1901 წლისა და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება;

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისათვის;

3) მოხსენება იმ შენობის შესახებ, რომელიც შენდება ვერაზე საზოგადოების სწავლა-განათლების საქმისათვის

და 4) არჩევანი შემდეგის ოთხის წლით: გამგე კომიტეტის თავმჯდომარისა, მისის ამხანაგისა და წევრებისა.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.)

ექიმი
ვახტანგ ლამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი აცხადებს საყოველთაოდ, რომ გუბერნატორის მიერ მიიღება **შემოწირულებანი შემახაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.** ფული ბაქოს გუბერნატორს გაეგზავნება. მსურველმა განცხადებით უნდა მიჰმართოს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიას (ტფილისის ქუჩა) 10 დგან 2 საათამდე. (3—უ.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. აბაშმენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1—1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შჰაკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ახალი ამბავი

◆ ოთხშაბათს, 10 აპრილს, სალამოს 8 საათზე, ნ. ი. კამაევის სადგომში (გოლოვინის პროსპ.) დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის ველოსიპედების მოყვარულ საზოგადოების წევრებისა 1901 წლის ანგარიშის და 1902 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და დასამტკიცებლად.

◆ 10 აპრილს, სალამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება ხელოვნებათა წამქეზებელ კავკასიის საზოგადოების წევრებისა სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად.

◆ ამ ჟამად კოჯრიდგან მოყოლებული მანგლისამდე ისეთი თოვლი დევს, რომ მარხილით თურმე შეიძლება მიმოსვლა.

◆ რუსულ ჟურნალის **„Журналъ для всѣхъ“** № 4-ში დაბეჭდილია ბ-ნის ა. ხახანაშვილის ისტორიული წერილი „ბრძოლა საქართველოს ტახტისათვის“.

◆ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები:

1) Бальваръ и Іодасафъ, ქართული ტექსტი XI—XII საუკუნ. ხელთნაწერებიდგან, ორის პალეოგრაფიულ ტაბლიცით, თარგმნილი და წინა-სიტყვაობა ა. ხახანაშვილისა. გამოცემა მისივეა.

2) აღმოსავლეთის ფონეტიური ანბანი განმარტებითი წერილით, შედგენილი მაჰომედ შახტახტინსკისა.

◆ ამ თვის 8-ს სხდომაზე ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა გადადებულ იქმნას მეოთხე წევრის არჩევანი შემდეგ სხდომამდის. იმავ სხდომაზე თავისის თხოვნით (ავადმყოფობის გამო) სამსახურიდგან გასულს წევრს გამგეობისას დაუნიშნა პენსიად 2,200 მანეთი.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა დაამტკიცა სასოფლო სკოლების მასწავლებელთა კანდიდატებად ქალბ. ჟუკოვისა, მამულოვისა და შიუკაშვილისა.

◆ ავლაბრის ქალაქის სკოლაში განსვენებულის თამარა ქუჩუკაშვილის ნაცვლად ქართულის ენის მასწავლებლად ქალბ. ელ. ჭიჭინაძისა დაუნიშნავს სახალხო სკოლების ინსპექტორს. ქალაქის სკოლების კომისიისაგან წარდგენილი ბ-ნი ნიკოლაშვილი-კი ბ-ნ ინსპექტორს არ დაუმტკიცებია, რადგანაც ბ-ნი ნიკოლაშვილი ამ ჟამად სხვაგან მასწავლებლობს და სასწავლო წელს მისი ტფილისში გადმოყვანა მოუხერხებლად მიუჩნევია.

◆ ამ თვის 4 და 6 შემახაში კიდევ ყოფილა ძლიერი მიწის ძვრა, თუმცა ადამიანს არა მოსწევია-რა.

◆ გზათა მინისტრის განკარგულებით სასტიკად აღკრძალულია ორი მოვალეობა დააკისრონ ერთსა და იმავე აგენტს რკინის გზისას, თუ გზაზე ხშირი მიმოსვლა არის. მიუხედველად ამისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე არ ასრულებენ ამ წესს. მაგალითად, კიშლის ნახევარ-სადგურზე, თუმცა ერთობ გაძლიერებული მიმოსვლა არის, მაგრამ სადგურის უფროსი მაინც ორს მოვალეობას ასრულებს („კასპი“).

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალის „ჯეჯილის“ მე-IV ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) აღდგომა, ლექსი—პელიაშვილისა, 2) ქვევრი იგავი—ალ. მირიანაშვილისა, 3) მოთამაშე მაიმუნი, მოთხრობა—თ. რაზიკაშვილისა, 4) ხოხბები და კაკბები, იგავი ალ. მირიანაშვილისა, 5) მიწის მუშა და მისი შვილები. ფრანგული იგავი,—კლდიასი, 6) ლომი, ლუნკევიჩისა, თარგმანი—კ. ფრონისპირელისა, 7) ცელქი შალვა, ლექსი დ. თომაშვილისა, 8) მელიას თავგადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება)—ალ. ნათაძისა, 9) ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად,—ისტორიული ამბავი—იაკობ გოგებაშვილისა, 10) ლედი ჯენ, მოთხრობა, დასასრულ—ელ. წერეთლისა, 11) კალედონიაში ნადირობა (ოვიდიოსიდამ)—ა. ყუმისთაველისა, 12) ქრიკოკონობა ღამეს, მოთხრობა—ეკ. გაბაშვილისა, 13) საშინელი სასჯელი მოღალატისა, ისტორიული ამბავი იაკობ გოგებაშვილისა, 14) წვრილმანი: საჩუქრის მისაღები კითხვა, გამოცანები, აკროსტიხი, ანდაზა, ციფირების ამოცანა, არითმეტიკული ამოცანა, რებუსი, ახსნა და განცხადება.

იმერეთის ამბები.

◆ **ს. დიდი-ჯიხაიში:** ჩვენს სოფელსა და მის მიდამოებში ბევრი სხვა-და-სხვა სენი მძვინვარებს ამ ჟამად და, თქვენს მტერს, ჩვენ რომ გაჭირვებაში ჩავვარდებოდით; მაგრამ, საბედნიეროთ, ახლად გახსნილი ქსენონი სწორედ დაუფასებელ სამსახურს გვიწევს. რომ ჩვენი აზრი გაზვიადებულად არ ეჩვენოს მკითხველს, ისევ ციფირებს მივმართავთ: 20 თებერვლიდგან დღემდის ქსენონის ექიმს ბ. გომართელს (რომელიც მეტის სიყვარულით და მუყაითობით ეკიდება თავისს მოვალეობას) მიუღია 1500 ავადმყოფი; აბა, რა გვეშველებოდა, რომ კერძო ექიმისა და აფთიაქის ხელში ჩავვარდნილიყავით. ამას მიუმატეთ კიდევ იმ ავადმყოფთა რიცხვიც, რომელთაც შინ მიიწვიეს ექიმი და ნათლად დაინახავთ ქსენონის უუსაჭიროეს მნიშვნელობას ჩვენის დაბეჩავებულ სოფლისათვის. მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ყოველ კეთილს საქმეს უკან დასდევს ბოროტი სულიც. ერთი ვაჟბატონი დაუძინებელ მტრად გადაექცა ქსენონს და არავითარ საშუალებას არა ჰზოგავს, რომ როგორმე ხელი შეუშალოს მის კეთილ-ნაყოფიერ მოქმედებას, მაგრამ იმედია ყოველი ბოროტი განზრახვა ამაოდ ჩაივლის.

◆ **ხარაგოული:** დღეს ხარაგოულის საბოქაულოში ყველა სასოფლო საზოგადოებას საკუთარი სამინისტრო სკოლა აქვს. ამ სკოლებში ორი ორ-კლასიანია და სხვების გაორკლასიანებაზედ განაჩენია დადგენილი. თითონ ხარაგოულის საზოგადოებამ-კი ორი ორკლასიანი სკოლაც (სამრევლო და სამინისტრო) არ იკმარა და სოფ. ხარაგოულში სამოქალაქო სკოლის დაარსების შესახებ დაადგინა განაჩენი; მაგრამ ამ გარემოებამ გამოაფხიზლა ზესტაფონი და დიდი მეტოქეობა გაუწია ხარაგოულის დაწყებულ საქმის ხელიდგან გამოგლეჯისათვის. ეხლა, როგორც დარწმუნებით ამბობენ, მთავრობისაგან გადაწყვეტილა ზესტაფონში სამოქალაქო სასწავლებლის დაარსება, მაგრამ ხარაგოული მაინც იმედოვნებს, რომ ისიც ეღირსება სამოქალაქო ან სხვა ტიპის ახალ სკოლას.

ხარაგოულის საბოქაულოს სოფლებში მისვლა-მოსვლა აქამდე ძლიერ სახიფათო და საძნელო იყო. დღეს-კი ხარაგოულიდგან ამაშუკეთამდე 20 ვერსის მანძილზედ მშვენიერი გზა-ტკეცილია გაყვანილი და იმედია სოფლის სხვა გზებსაც მიექცევა ყურადღება.

ძლიერ სასარგებლო დაწესებულება გამოდგა მთელის საბოქაულოსათვის ამას წინედ ხარაგოულში დაარსებული ქსენონი. მთელი ეს კუთხე მოკლებული იყო ნასწავლ ექიმს და ავადმყოფების ბედ-იღბალს მატყუარა მკითხავ-ექიმები განაგებდნენ. ეხლა-კი ბევრი მხარს უქცევს ამ მატყუარებს და ხშირად მიმართავს ქსენონის ექიმს, რომელიც ვალისამებრ უფულოდ სინჯავს მისულ ავადმყოფებს და ბინაზედაც ხელ-მისაწვდენი სასყიდლით წამლობს. უწინ თუ ზესტაფონიდგან მაგ. სოფ. ამაშუკეთში, ექიმის მიყვანა 25—30 მან. ჯდებოდა, დღეს ხარაგოულიდამ 5—6 მან. მიჰყავთ. თუმცა ხარაგოულის ქსენონი თვისის ექიმით სოფლის ხალხს დიდს შემწეობას აძლევს, მაგრამ ძლიერ დაშორებული და მივარდნილი სოფლები როგორც რიგია ვერ სარგებლობენ ამ სიმპატიურ დაწესებულებით. სოფლის მატყუარა ექიმებსაც ეს უნდათ.

საჭიროა ზოგიერთ მივარდნილ სოფლებში მაინც დაარსდეს საფერშლო უბნები (**фельдшерскіе пункты**), რომლებიც დიდ სარგებლობას მოუტანენ უმეცარ ხალხს. ხარაგოულის ქსენონის ექიმს, როგორც თითონ ბრძანებს, განზრახვა აქვს იმეცადინოს, რომ ასეთი საფერშლო უბანი ჯერ-ჯერობით დაარსდეს ამაშუკეთის საზოგადოებაში. ვისურვებთ ეს განზრახვა მალე საქმეთ ქცეულიყოს.

◆ **ს. საჭილავო** (სენაკის მაზრა): ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაც განზრახული იყო, რომ მე-III ილორის საზოგადოება, რომელიც შესდგება საჭილაოს, სანავარდოს, ნაფადლოურის, ნახჩიტოურის და სხვა სოფლებისაგან, უნდა გამოეყოთ სენაკის მაზრიდგან და ქუთაისის მაზრაზედ შეეწერათ. ყველა ალტაცებით ველით ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას.

გზების შეკეთებას ჩვენს სოფელში, ეს ერთი კვირა არის შეუდგნენ და, როგორც ეტყობა, კარგად მიდის ჯერ მუშაობის ბედ-იღბალი. საფუძვლიანად აქვთ დაწყებული და ფიქრობენ ერთხელ მაინც საფუძვლიანად გააკეთონ, თუ აწი არ «უმტყუნეს» დანიშნულებას. ამინდიც ხელს უწყობს, ასე რომ მალე შეგვეძლება უშიშრად ვატაროთ ურმები და ეტლებმაც თავისუფლად იარონ სადგურ სამტრედიამდის.

◆ ქუთაისში ხმა გავრცელებულა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს მარგანეცის მწარმოებლების მომავალ მოწვევის წესდების შეცვლაო. კრებაზე შეეძლებათ მონაწილეობის მიღება მარტო იმ მწარმოებლებს, რომლებსაც ხმა აქვთ. ხოლო მათს ვექილებს და რწმუნებულებს არ ექნებათ მონაწილეობის მიღების ნება კრებაზე(„ახალი მიმ.“).

არა გვგონია, რომ ეს გავრცელებული ხმა ნამდვილი იყოს. ნავთის მწარმოებელთა კრებების მაგალითი უფრო ხანგრძლივი, ვიდრე შავი-ქვის მწარმოებელთა მოქმედების ისტორიაა, ცხადად ჰყოფს, რომ უმრავლესს შემთხვევებში ვექილები და რწმუნებულნი უფრო შეგნებულად და ფხიზლად ეკიდებიან საქმეს, ვიდრე თვით მწარმოებლები.

დაბა და სოფელი

ს. გუბი, 3-ს აპრილს. ერთი საყურადღებო სოფლის განაჩენი კიდევ დაადგინეს ამ დღეებში კუხის საზოგადოების სოფლებმა—გუბმა, კუხმა და გოჩა-ჯიხაიშმა. ეს განაჩენი ამ დროის ნიშნების მაჩვენებელია. იგი შეეხება ბანქოთი მოთამაშეებს. ფულზე ბანქოს თამაში ერთობ გახშირდა სოფლებში. სოფლის დუქნები საყომარბაზო სახლებად გადიქცა. თამაშობენ დუქნების გარეთაც მინდვრებში, ეკკლესიის ეზოში და საზოგადოდ იქ, სადაც კვირა-უქმე დღეებში ხალხი თავს იყრის თავის შესაქცევად. თამაშობენ დღე და თამაშობენ ღამე, და არა მარტო კვირა-უქმეებში—საქმე დღეებშიაც... თამაშობს უმეტესად ახალ-გაზრდობა განურჩევლად წოდებისა; გლეხებმა კიდეც გაუსწრეს ამ ხელობაში კეთილშობილებს. ვისგან ისწავლა ანუ ვის წაჰბაძა ამ შემთხვევაში ხალხმა? რასაკვირველია „განათლებულებს“. დაბა-სოფლების და ზოგ ქალაქების „განათლებულებიც“ ჩვენებურ-ძველებურ დროს გატარებას, ბურთის თამაშს, სიმღერას და ცეკვას საჯაროდ კვირა-უქმე დღეს ცა-წმინდა-ქვეშ, ცაცხვებისა და ნიგვზების ძირში, ველურთა თავის შექცევას ეძახიან და არჩევენ ას წილად მთელი ღამე ბანქოს თამაშობაში გაატარონ კლუბებში თუ კერძო სახლებში. მე ვიცნობდი სოფლის მასწავლებლებსაც-კი, ნამდვილ ყომარბაზებს... ამ დღეებში (რა-კი სიტყვამ მოიტანა, გავიხსენებ)—ინგლისიდგან ტელეგრამა იყო, რომ იქ ბურთის თამაშის დროს სამი კაცი მომკვდარა. საცოდავი ინგლისელები! როდის უნდა მიაღწიონ განათლების იმ წერტილამდის, სადამდისაც ჩვენ ავედით კიდეც აგერ ამდენი ხანია!?.

მოხსენებულ განაჩენით სოფელი ჯარიმას ახდევინებს ბანქოს მოთამაშეებს 5-იდგან 25 მანეთამდის სოფლის სკოლის სასარგებლოდ ბ ვისაც ჯარიმის ფულად გადახდის შეძლება არ ექმნება, სასოფლო გზაზე ამუშავებს 7—15 დღემდის... განაჩენის სისრულეში მოყვანა მინდობილი აქვს ადგილობრივ პოლიციას სოფლის სკოლის მზრუნველის მეთვალ-ყურეობით. სადამდის მიდის ბანქოს თამაშით გატაცება, ცხადად ჩანს ამ წინაზე მომხდარ შემთხვევით ს. მაღლაკს. ერთმა გლეხის ახალ-გაზდამ, რომელიც კვირიდგან კვირამდის ტყეში ბანქოს თამაშობდა მასავით თავზედ ხელ-აღებულებთან, ძმასა და დას ნადირისთვის გატენილი თოფი ესროლა: აქაო-და, რატომ მიშლით თამაშობასაო! დაჭრილები სიკვდილს შემთხვევით გადარჩნენ. ვინც დააკვირდება ჩვენებურ სოფლის ახალ-გაზდობას, შეამჩნევს, რომ იგი გატაცებულია ქალაქურ ცხოვრებით. ბათუმში სამუშაოდ წასვლა და იქ მოგებულ ფულის იქვე გაფლანგვა —მოდათ არის შემოსული. სამწუხაროა, სხვათა შორის, რომ ეს ახალ-გაზდობა მიწის მუშაობას გადაეჩვია. არც ისე უყვარს მიწა, როგორც, მაგალითად, მამა მისს, რომელიც სასმელს, საჭმელს, ტანსა და ფეხს (ტანისამოსს) იკლებს და ადგილს ჰყიდულობს. მამას ადგილის ყიდვა ვნებად გადაექცა. ის სულ ვალშია ადგილების შეძენით. შვილი-კი, სამწუხაროდ, ჯერ სკოლაში სიარულით მოსცდა მიწის მუშაობას, მერმე ქალაქ ადგილას მოჯამაგირობით ან რაიმე ხელობის შეძენით და ბოლოს, როცა თავისუფლება ხელთ იგდო, ნამეტურ თუ რაიმე „ხელობის“ კაცია, ადვილად ელევა მიწას და ქალაქისკენ მიიწევს საცხოვრებლად *): ან-კი რა უნდა ჰქმნას, როცა მიწის მუშაობა აღარ იცის. მელა საშოვარზე წავიდაო და ტყავი იქ დასტოვა—ასეა ამათი საქმე. ჩვენებური ძველებური მიწის მუშაობა არც ისე მარტივი საქმეა, რომ, ვისაც არ უმუშავნია, ფონს გავიდეს!

სოფლელი.

თეატრი და ხელოვნება.

როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს გამოსცეს „სამშობლოს“ ავტორის დავით ერისთავის პიესათა სრული კრებული. გამგეობას უკვე აუღია ნება-რთვა მემკვიდრეთაგან. კრებულში მოთავსებული იქმნება თორმეტამდე პიესა ორიგინალური, ნათარგმნი და გადმოკეთებული, აგრეთვე ავტორის ბიოგრაფია და სურათი. კრებულის ბეჭდვას ამ დღეებში შეუდგება გამგეობა.

* *
*

ამავე გამგეობას აზრად ჰქონდა ხსენებულ საზოგადოების წევრთა წლიური კრება ამ გაზაფხულზედ მოეხდინა, მაგრამ ამ განზრახვას თავი მიანება და კრება შემოდგომისათვის გადასდო. მიზეზი ის იყო, რომ გამგეობას ჰსურს შეადგინოს სრული ანგარიში როგორც საზოგადოების მოქმედებისა, ისე იმის ქონება-შეძლებისა. ამას-კი დიდი დრო უნდა, რადგანაც შეუმოწმებელია თეატრის ავეჯი, გარდერობი, წიგნთ-საცავი, დეკორაციები და სხვა. ამას გარდა გამგეობას აზრად აქვს შეაფასოს, რამდენადაც შეძლება ხელს მისცემს, როგორც გარდერობი, ისე დეკორაციები, ავეჯი და წიგნთ-საცავი.

* *
*

როგორც შევიტყეთ, ჩვეულებრივი კონცერტი ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ აღდგომის შემდეგ გაიმართება.

* *
*

ცნობილი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი ამ ჟამად სწერს თურმე ახალ პიესას იმერელთა ცხოვრებიდგან.

* *
*

ახალ პიესას ადგენს აგრეთვე ქ-ნი აზიანი. სახელად პიესას „ეკლიანი გზა“ ეწოდება, იგი ოთხ-მოქმედებიანი კომედიაა.

* *
*

16 აპრილს ავჭალის ქუჩის იაფ-ფასიან წარმოდგენებისა და სახალხო კითხვების შენობაში სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ბ-ნ გუნიაშვილის დრამას „დრონი მეფობენ“-ს. შემდეგს წარმოდგენას სცენის მოყვარენი გამართავენ რკინის გზის სახელოსნოების თეატრში, 22 აპრილს.

* *
*

ქუთაისიდგან გვწერენ: „ეფემია და კონ. მესხის გასტროლები ქუთაისში მეოთხე წარმოდგენით გათავდა. ეს წარმოდგენა გასტროლიორების საბენეფისოდ იყო დანიშნული, მაგრამ ხალხი ნაკლებად დაესწრო. საჩუქარი, გარდებისა და ყვავილების გარდა, მხოლოდ ერთი მიართვეს. წარმოადგინეს „ადიკო კაზაინი“, სუმბათაშვილის პიესიდგან გადმოკეთებული 5 მოქმ. დრამა. ჩვენის სცენის საუკეთესო არტისტ-ქალს ეფემია მესხს ქუთაისის გასტროლებში წინანდელთან შედარებით ნაკლები სიცოცხლე ეტყობოდა და ამ გარემოებამ დამსწრე საზოგადოება, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. მხოლოდ „მარგარიტა გოტიე“ში ჩაატარა წინანდებურის მოხდენილობით თავისი როლი.“

ნარკვევი.

ჩვენ თავისს დროზე დაბეჭდილი გვქონდა ზოგიერთი ადგილი ლ. ტოლსტოის წინასიტყვაობისა, რომელიც მან წაუმძღვარა ფონ-პოლენცის რომანს „გლეხს“.

ჟურნ. „ვეს. ევრ.“-ს მოჰყავს ლ. ტოლსტოის აზრი რუსეთის მწერლობის შესახებ და ამბობს:

> ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ლ. ტოლსტოის აზრს რუსეთის ეხლანდელ მწერლობის შესახებ. სწორედ დაეცა საზოგადოებრივი გრძნობა ამ მწერლობაში და პოეზია გაირყვნა დეკადენტებისა და სიმბოლისტების მიერ, რომლებიც ეპოტინებიან უმაღლეს განებებს (კეთილგონიერების „გაღმა“) და ზეკაცობრიობას. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს, ვითომც ამ გარყვნილების და დაცემისაგან ახლა დაგვიხსნის მეთიუ არნოლდისებური კრიტიკა. შეიძლება კრიტიკამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია ამ ლიტერატურულს დაცემას, მაგრამ ის მაინც სწერდა და სასტიკადაც სწერდა დეკადენტობის და სიმბოლიზმის წინააღმდეგ, მხოლოდ ამით საქმეს არა ეშველა-რა. დეკადენტებს ჰგონიათ, რომ სდევნიან სიმართლისათვის, რომ მათ გარდა ყველანი „ბრბოს“ წარმოადგენენ და დარწმუნებულნი არიან, რომ ადრე თუ გვიან გაიმარჯვებს „ახალი ხელოვნებაო.“
>
> დეკადენტურისა და მის მზგავს ახირებულ მიმართულების გავრცელება, ჩვენის აზრით, უფრო რთული მოვლენაა და გვგონია, მარტო კარგი სალიტერატურო კრიტიკა არა კმარა, რომ ამ მიმართულებათა მიმდევარნი სწორე გზაზე დააყენოთ. ნამდვილად დღევანდელის ლიტერატურულის დაცემის დასაბამი უნდა მოვძებნოთ წინანდელ სალიტერატურო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რუსეთი

პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ მ. გორკის ავადმყოფობის შესახებ გავრცელებული ხმები ტყუილია. გორკი სრულიად ჯანმრთელად არის და ბევრსაც მუშაობს.

— ბრიანსკის ქუჩებში გაკრულია განცხადება ბრიანსკის და ახლო-მახლო ადგილების მცხოვრებთათვის: აღკრძალულია ქუჩებში ჯგუფებად შეკრება, იარაღის ტარება, ასაფეთქებელ ნივთიერებათა გაკეთება და გაყიდვა.

— კვირა-ცხოვლობის შემდეგ დაიწყებს მუშაობას შინაგან სამინისტროში დაარსებული განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სასოფლო პოლიციის რეფორმის პროექტი.

— სახელმწიფო საბჭომ უკვე განიხილა და მოიწონა ახალი სავექსილო წესდება.

უცხოეთი

ინგლისი. ბიუჯეტის განხილვის წინ ფინანსთა მინისტრმა გიკს-ბიჩმა სიტყვა წარმოსთქვა: „მე იმედი მაქვს,—სთქვა გიკს-ბიჩმა,—რომ ბურების წინამძღოლებთან მოლაპარაკებას კეთილი შედეგი მოჰყვება, მაგრამ ამ გარემოებამ გავლენა არ უნდა იქონიოს ბიუჯეტის დამკვიდრებაზედ. ზავის დადებას არაფერი შეუწყობს ისე ხელს, როგორც მთავრობის გადაწყვეტილება, რომ ომი, რათაც უნდა დაუჯდეს, საკეთილო ბოლომდე მიიყვანოს. მომავალ საფინანსო წელს ხარჯი 174.600,000 გირვანქა სტერლინგამდე ავა. აქედგან დეფიციტი 27 მილიონი გირვანქა იქნება, რადგანაც შემოსავალი მხოლოდ 147.785,000 სტერლინგია გამოანგარიშებული. შეიძლება რამდენიმე კვირის შემდეგ ომიც გათავდეს კიდეც, მაგრამ იაფად არც ეს გათავება დაგვიჯდება: უნდა დავაჯილდოვოთ მეომარნი, დავტოვოთ სამხრეთ-აფრიკაში ჯარი, აღვადგინოთ ფერმები არა მარტო მეგობარ ბურებისა, არამედ მტრებისაც. ყველა ამას-კი ფული უნდა. თუ ზავი საკეთილო იქმნა, მ მგონია, პალატა გულ-უხვობას გამოიჩენს. ხარჯმა სამხრეთ-აფრიკის ომის გამო 160 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე მიაღწია, ხოლო ჩინეთის ექსპედიციის გამო—5 მილიონამდე, მაგრამ ჩინეთი 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს უკან დაგვიბრუნებს“.

— ამ ბოლოს დროს ლონდონში ხმა გავრცელდა, რომ ჩემბერლენსა და გიკს-ბიჩს შორის ურთიერთობა ისე გამწვავდა, რომ ერთს კაბინეტში დარჩენა მათ აღარ შეუძლიათო. ამბობენ, შაბათს მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა ამის შესახებაო. ერთმა გაზეთმა მიჰმართა ჩემბერლენს და ჰკითხა: „გაზეთები იუწყებიან სამინისტროს კრიზისის შესახებ: ვითომ თქვენსა და გიკს-ბიჩს შორის უთანხმოებაა. მართალია თუ არა ეს ამბავი?“ ახალშენთა მინისტრს უთქვამს: „ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა“. ესევე უთქვამს გიკს-ბიჩს.

— ინგლისელებს, როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, ეხლა ნაკლები იმედი აქვთ მოლაპარაკების საკეთილოდ დამთავრებისა, მართალია, ბურები დამოუკიდებლობას აღარა თხოულობენ, მაგრამ დამორჩილებაზედ იმ შემთხვევაში არიან თანახმანი, თუ აფრიკანდერებს (ინგლისის ქვეშევრდომებს) არ დასჯიან და ბურთა წინამძღოლებს სამშობლოშივე დააბრუნებენ.

ჩინეთი. როგორც მთავარ-შტაბს პორტ-არტურიდგან ატყობინებენ, მუკდენისა და გირინის პროვინციების საზღვრებზედ ხუნზუხთა დიდი ბრბოები დათარეშობენ. მათ წინააღმდეგ სადარაჯო რაზმებსა ჰგზავნიან. 17 მარტს ერთ რაზმს შეტაკება მოჰსვლია ხუნზუხებთან, რომლის დროსაც ერთი ყაზახი მოუკლავთ. 24 მარტს მეორე რაზმი ხუნზუხთა 200 ცხენოსანს წააწყდა თურმე. შეტაკების დროს 70-მდე ხუნზუხი მოუკლავთ. კიანტუნში სამი ბრბო დათარეშობს. ერთ ბრბოს შესტაკებია შტაბს-როტმისტრის ვესტერმაკის რაზმი. 800 ჩინელისაგან 30 ძლივს გადარჩენილა. რუსებისთვის მოუკლავთ ერთი ჯარის-კაცი, დაუჭრიათ სასიკვდილოთ ერთი ჯარის-კაცი, სუბუქად პორუჩიკი კოზაკოვსკი და 4 ჯარის-კაცი.

— ინგლისურ გაზეთის სიტყვით სამხრეთ-ჩინეთში ამბოხება თან-და-თან ძლიერდება. ზოგიერთ პროვინციებში შეერთებულ შტატებიდგან იარაღიც შეუტანიათ, თუმცა დიდათ აღკრძალულია. ამის გამო ინგლისს პროტესტით მიუმართავს ამერიკის მთავრობისათვის.

— „**Morn. Post**“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან, რომ კვანგსიში მეამბოხენი დამარცხა გენერლის მას და მარშლის სუს ჯარმაო. ბრძოლა მეტად ცხარე ყოფილა. პირველ ხანს ჩინეთის ჯარი უკან დახეულა, მაგრამ მალე ახალი ჯარი მიჰშველებია და იმასთან ერთად განუდევნიათ მეამბოხენი. აჯა-

ფელეტონი

იუდა

(ნ. მ. ალბოვისა)

I

— ვის ეძებთ?

— იესო ნაზარეველს.

— მე ვარ იესო.

ასეთის სიმშვიდით, ასეთის თავმდაბლობით დაემორჩილა და ხელში ჩაუვარდა იესო მაცხოვარი თავისს მოსისხლე მტრებს და ასეთისავე სიმშვიდით და დუმილით მიეგება ამ ამბავს ცისა და ქვეყნის ძლიერებაც; არა სჩანდა შემწედ არც ანგელოზთა გუნდი, არც ციდან ნაწვიმი ცეცხლი, რომ ერთ წამში მოესპო წარმართთა სიცოცხლე და გაენთავისუფლებინა იესო, ძე ღვთისა. მხოლოდ ერთმა პეტრემ მოინდომა შეჰბრძოლებოდა ერთს მოწინააღმდეგეთაგანს, მაგრამ იმ წამსვე იმანაცთავი მოიხარა, როდესაც შეჰხედა საყვარელს მოძღვარს და დაინახა, როგორ ცხადად მჭევრ-მეტყველებდა მისი თვალები: უნდა გესმოდეთ, რომ ყოველივე ცდა ამაოა. და ყველა ჩამოშორდა. ის ორი მოწაფე: იესოს ერთგული, თავგანწირული მცველი იოანნე, ისეთივე თავდადებული გმირულის ხასიათის სიმონი, რომელსაც სიმონ-პეტრეს ეძახოდნენ—ვიმეორებ, ეს ორნი თავ-განწირულნი მოწაფენიც-კი ჩამოშორდნენ იესოს, შეშინდნენ, დაიმალნენ.

ის-კი, ვინც ასეთი ბოროტება მოიქმედა, ვინც გასცა უდანაშაულო, იდგა განმარტოებით და ყოველ ამას თავის თვალით ჰხედავდა. ჰხედავდა ამ გაბრაზებულთა გროვას, ჰხედავდა მეომართ, ხანში შესულთ და ახალგაზრდა საპატიო კაცთ, რომელნიც დიდის ცნობის მოყვარეობით შესცქეროდნენ, რა უსამართლოდ, რა უსინიდისოდ უკრავდნენ ხელებს იესოს, რომელიც იყო მიზეზი ბრბოს აღელვებისა, მამხილებელი ყოველის უსამართლოებისა, მოწყალე გლახაკთა, გამკურნებელი კეთროვანთა, მოძულე ბოროტთა და ცბიერთა. ხელებ-შეკრული იესო გაიყვანეს გეთსიმანიის ბაღიდგან და აღელვებული ბრბო ყიჟინ-ხივილით, წყევლა-კრულვით დაედევნა უკან.

იუდა იდგა განმარტოებით, დაბურულ ხეებში ჩამალული და ყველა ამას ცხადად ჰხედავდა. შეჰხედა უკანასკნელად, დაინახა ერთხელ კიდევ და შემდეგ მალე მიეფარა თვალთაგან. დარჩა იუდა მარტოდ-მარტო გეთსიმანიის ბაღში. საჩქაროდ ფეხ-აკრეფით, როგორც ლანდი, გამოვიდა ფარფატით ბაღიდგან, სადაც მდუმარება გამეფებულიყო. მიიხედ-მოიხედა, გარშემო დუმილი იყო და ბინდი ეკვროდა არე-მარეს. იუდა ჩაჯდა, ამოიღო უბიდგან ტყავის ქისა, საჩქაროდ გაიხსნა და მოაპირქვავა ძირს. იქ სხვა-და-სხვა ვერცხლის ფულს მოეყარა თავი, მაგრამ, თითქოს სხვებთან ემძიმება ყოფნაო, ისე გამოერჩა და ცალკე გადიჩხრიალა ოც და ათმა ვერცხლის ფულმა, რომელიც სიდიდით ცხადად განირჩეოდა სხვა ვერცხლის ფულისაგან.

იუდამ დაუწყო თვლა ამ ჭრელ-ჭრელ ახალ-ახალ ფულს.

— ოც-და-ათი უნდა იყოს—გაიფიქრა გულში. გაათავა თვლა.—დიაღ, სწორედ ოც-და-ათია, მივიღე სრულად, რასაც დამპირდნენ. ოც-და-ათი ვერცხლი! დიაღ, ასე იყო პირობა. იუდამ ისევ ჩაჰყარა ფულები ქისაში და ფიქრმა წაიღო, საგონებელში ჩავარდა.

II

თვალ-წინ წარმოუდგა იუდას ის დრო, როდესაც მივიდა კაიაფასთან და უთხრა: „რას მომცემთ, რომ გაჩვენოთ ის, ვისაც ეძებთო“? კარგად იცოდა იუდამ, რომ ყოველი ღონისძიება იყო მიღებული იესოს ხელში ჩასაგდებად, იგი ახლა ვეღარ წაუვიდოდა მტრებს ხელიდან. ახსოვდა ის შემთხვევაც, როდესაც ნაზარეთში გაბრაზებულმა ბრბომ აიყვანა იგი უშველებელ კლდის მწვერვალზე და იქიდგან ხრამში გადაგდებას უპირებდა, მაგრამ იესომ, ნათლით შემოსილმა, თავისუფლად გაიარა მტრებს შუა და უჩინარ იქმნა. მხოლოდ მაშინდელი ბრბო იყო მოუმზადებელი, უჭკუო და შემთხვევით მოგროვილი. ამას გარდა, იქ ბევრი იესოს მომხრეც ერია. თვით იუდაც ხომ მაშინ იმის მოწაფეთაგანი იყო. აი, ამაებმა უშველა მაშინ იესოს; ამიტომ გაუსხლტა ხელიდან აღელვებულ მოწინააღმდეგეთა გროვას. შემდეგაც ბევრჯელ მოახერხა იესომ და თვალ-წინ გაუქრა მტრებს, მაგრამ ეხლა სულ სხვაა, ეხლა იგი ჩაუვარდა ხელში ძლიერ გამოცდილ მტრებს და ამათ ხელიდან ძნელად დაიხწევს თავს,—ფიქრობდა იუდა და თვალ-წინ ეშლებოდა წარსული.

აგონდებოდა ის წამი, როდესაც გალილეის ტბასთან იუდა და სხვა თერთმეტნი ამოირჩია იესომ თავის მოწაფეებათ, რომ ესწავლათ სიბრძნე მისი და ევრცელებინათ ქვეყანასა ზედა. იუდა, როგორც უფრო მტკიცე ხასიათისა, არჩეული იყო იმ მცირე სალაროს ყურის მგდებლად, რომელიც იყო საცხოვრებელი მოძღვარ-მოწაფეთა.

მერე ღირსეულად ასრულებდა ამ მინდობილებას? ღირსეულად ასრულებდა იმიტომ, რომ იუდა იყო ერთგული, თავდადებული მოწაფე. ისე, როგორც იაკობ, იოანე, თომა, არა ნაკლებ თავდადებული, ვიდრე თვით სიმონ-პეტრე და დანარჩენი მოწაფენი. ეს იყო, რომ იუდა სხვებსავით პირში მოლაპარაკე არ იყო, უფრო სდუმდა, გულში ჰმალავდა თავისს აზრებს.

იესო ქრისტე სწამდა იუდას, როგორც მაცხოვარი, თუ არა? დიაღ, იუდას სწამდა, რომ იესო იყო ის მესია, რომელსაც ამოდენა ხანს ელოდა ქვეყანა ისრაილისა, სწამდა, რომ ეს ის მესია იყო, რომელიც დაიხსნიდა ისრაილის ერს მტრის ხელიდგან, გაათავისუფლებდა მონობისაგან. სწამდა, რომ იესო იყო მოვლენილი ძველის აღთქმის გასამტკიცებლად, იმ ძველის აღთქმისა, რომელიც ცისა და ქვეყნის გამჩენელმა ათ მცნებათ გადასცა მოსეს და რომელიც ისე აბუჩად აიგდეს უმეცართა. ამიტომაც განრისხდა ღმერთი და ისრაილის ერი ხელში ჩაუგდო შეუბრალებელ რომაელთ, ამიტომაც გახშირდა ისრაელთა შორის ჩხუბი, კაცის კვლა და მრავალი სხვა უწესობა. და როდესაც მათი თავხედობა წრეს გადასცილდა, მაშინ უფალმა გამოჰგზავნა ქვეყნად მესია, რომელსაც მისცა ისეთი ძალა, რომ ერთის სიტყვით შეეძლო მთელი ქვეყანა შეემუსრა, არამც თუ რომაელთა ძლიერება ვერ დაემხო და ვერ განედევნა ქვეყანისაგან ისრაილისა.

მაგრამ მიდიოდა დრო და იუდას ეჭვი ეპარებოდა. თან-და-თან მის მოძღვარს ძალა ეკარგებოდა იუდას თვალში.—იესო არ უქმობს წმ. შაბათს, ფიქრობდა იუდა—არ ასრულებს ძველ რჯულის წესებს, სრულიად არ ახსოვს, რისთვის არის ქვეყნად მოვლენილი, რის მოვალეა ისრაილის ერის წინაშე. იგი თან-და-თან შორდება დიდ-კაცობას ისრაილისას და უახლოვდება დაბალ, საწყალ ხალხს. ესაუბრება ავაზაკთა და უგვანთ, სცდილობს მათ მოქცევას. არ მოერიდა გარყვნილ ქალთან საუბარსაც-კი. და იმის მაგიერ, რომ დაახლოვებოდა შეძლებულთ და მათის დახმარებით გაევრცელებინა ძველ ებრაელთა სარწმუნოება, ნელ-ნელა ჩამოშორდა მათ, მრავლად შეიძინა მტრები. იესოს უნდა შეექმნას რაღაც ახალი ქვეყანა, ქვეყანა არა ქვეყნიური; ძალა შესწევს და ვერ იყენებსკი ამ ძალას და ისე თვალ-დახუჭულია, რომ ვერა ჰხედავს, რა ხდება ქვეყანაზე, იღუპება ქვეყანა ისრაილისა.

— მე ავუხელ თვალს, ვასწავლი, როგორ მოიქცეს,—გადასწყვიტა იუდამ და მოინდომა თავისს გადაწყვეტილების ასრულება და როდესაც იესომ ლაზარეს აღდგენის დღეს ნება მისცა ლაზარეს დებს, რომ იესოსთვის ფეხები დაებანათ ძვირფასის წყლით, იუდა გაბრაზდა, გულში გადასწყვიტა, ამის მოთმენაკი აღარ შეიძლება, დროა მოხდეს ის, რასაც დიდი ხანია ველოდით და ჩუმად გაიპარა ქალაქში. იპოვა კაიაფას სახლი, სადაც შეკრებილიყვნენ მღვდელ-მთავარნი და მწიგნობარნი და გამოუცხადა:

— რას მომცემთ, რომ გაჩვენოთ ის, ვისაც ეძებთ.

და რამდენადაც იყიდებოდა უბრალო მონა, იმდენი სრულიად საკმარისი შეიქმნა, რომ მართლაც უბრალო მონას გაეყიდნა ცისა და ქვეყნის გამჩენი, თავისი ერთგული მასწავლებელი.

— ასე სჯობს! ის არ დაიღუპავს თავს, უთუოდ წაუვა მტრებს ხელიდგან,—ჰფიქრობდა იუდა.—ძალიან საქმე-კი მოვახდინე: მტრები თავ-გამოდებულნი არიან იმ გამარჯვებით, რომ ხელში ჩაიგდეს იესო, მაგრამ, აბა, ენახოთ, რას იტყვიან, როდესაც უცებ პირში ჩალა გამოევლებათ! დრო იცის იესომ და იგი მტრებს თვალ-წინ გაუქრება. მაგიერად იესოც-კი ისწავლის ჭკუას და, როდესაც დაუსხლტება მტერს ხელიდგან თვალ-ახელილი და დარწმუნდება, რომ შემცდარი იყო, მაშინ იუდაც დაუბრუნდება საყვარელ მასწავლებელს და ისევ იწამებს მესიათ, ისევ ის ერთგულათ დაიწყებს სამსახურს.

იუდა წამოდგა და გაეშურა იქით, საითაც წაიყვანეს ხელ-შეკრული იესო.

III

როდესაც ღამის მანათობელი ჩაესვენა ცის სივრცეში, ვარსკვლავთ დაეკარგათ ელვარება და ამოსისინდა მაგრილებელი დილის ნიავი, სინედრიონი (მსაჯულნი) გამოვიდა სამსჯავრო დარბაზში. მთელი ღამე კაიაფას სახლში კითხვა-გამოძიებას მოანდომეს და ახლა უკანასკნელი მოლაპარაკება უნდა გამართათ იესოს დასჯის შესახებ.

სამსჯავრო დარბაზის ეზო ხალხით გაივსო. იუდაც იქ იყო. ის ფეხ-და-ფეხ მისდევდა ბრბოს, თვალს ადევნებდა იესოს და იცოდა ყოველივე დაწვრილებით, რაც მოხდა იმ ღამეს კაიაფას სახლში. კარგად ჰხედავდა

---

*) იმის მაგალითებიც არის ჩვენში, რომ ქალაქში წასულები, როცა აქ შიმშილმა კუჭი აუწვა, ისევ სოფელს დაუბრუნდნენ...

ნუებულნი მთებში დამალულან, რომლის ძირშიაც ჯარი დაბანაკებულა თურმე. ხან-და-ხან მეამბოხენი მთებიდგან გამოდიან და თავს ესხმიან ჯარს. ესევე გაზეთი სწერს, რომ შუაგულ ჩინეთში ამბოხება დღითი-დღე ძლიერდება, მაგრამ, ტელეგრაფის გაფუჭებისა და აგრეთვე ჩინეთის ცენზურის სისასტიკის გამო, ვერაფერს ვტყობილობთ.

ოსმალეთი. „ს.-პეტ. ვედ.“-ი სწერს: „იმ ამბებმა, რომელიც მაკედონიაში ხდება, სრულიად დაუბნია დავთრები უიმისოდაც მაკედონიის საქმეებში გზა-კვალ დაბნეულ ევროპიულ გაზეთებს. უცოდინარობისა გამო ეს გაზეთები ათას სიცრუესა ჰბეჭდავენ. არ იციან მათ, მეამბოხეთა რაზმები სად ჩნდებიან და რა არის იმათის გაჩენის მიზეზი. ამას გარდა, გაზეთები ერთმანეთში ურევენ წინამძღოლთა გვარებს, ადგილებს, პროვინციებს და ქალაქებს. ასეთი უვიცობა და უცოდინარობა ეტყობათ საუკეთესო გაზეთებს, რომელნიც ვითომ „ახალ-ახალ“ ამბებსა ჰბეჭდავენ მაკედონიისა და ოსმალეთის სხვა პროვინციების შესახებ. მახლობელი აღმოსავლეთი მალე მთელ ევროპას აალაპარაკებს, ევროპიულმა გაზეთებმა-კი თითქმის არაფერი იციან იმის შესახებ. საქმის გამორკვევის ნაცვლად ევროპის ჟურნალ-გაზეთობას მხოლოდ შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება. ბალკანიის ხალხი კითხულობს ამ გაზეთებს და ჰკვირობს იქ დაბეჭდილ ამბების გამო. იგი რწმუნდება, რომ ევროპა უვიცი და უცოდინარი ბებერია, რომელიც ვერც ვერავის სიკეთეს გაუწევს და ვერც ვნებას მიუტანს. ნამდვილ ცნობებს, ბალკანიის გაზეთებში დაბეჭდილს, ევროპის ჟურნალ-გაზეთობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს“.

გერმანია. 30 აპრილს ლეიპციგის საიმპერატორო სასამართლომ განიხილა საქმე გნეზდენის სასამართლოს გადაწყვეტილების ხელახლა განხილვის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ვრეშენის საქმეს შეეხება. გადაწყვეტილება 19 ბრალდებულმა განასაჩივრა. გნეზდენის სასამართლომ საჭიროდ არა სცნო საქმის ხელ-ახლა განხილვა და უარი გამოუცხადა მთხოვნელთ.

სამეცნიერო წერილები

ზოგიერთა ჩვენთვის სასარგებლო მიკრობი

(უკანასკნელნი გამოკვლევანი)

1885 წ. დიდებულმა პასტერმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ჩვენთვის ზოგიერთ მიკრობს დიდი სარგებლობა მოაქვს საჭმლის მონელებაში. თვით პასტერმა ვერ მოასწრო ამ აზრის გამოკვლევა და მეცნიერულის ცდით დამტკიცება, მაგრამ საბედნიეროდ სხვები შეუდგნენ ამის გამოკვლევას და მართლაც ნათლად დაგვიმტკიცეს, რომ ზოგიერთი მიკრობი ფრიად სასარგებლო ყოფილა ჩვენთვის საჭმლის მონელებაში.

ამ მეცნიერთა გამოკვლევიდან სჩანს, რომ ადამიანის და საზოგადოდ ყოველ ცხოველის ნაწლევები მხოლოდ მაშინ არის თავისუფალი მიკრობებისგან, როდესაც ცხოველი ჯერ კიდევ დედის საშვილოსნოშია; ხოლო დაიბადება თუ არა, პირველ ჰაერის შესუნთქვისათანავე, ახალ-დაბადებულს შესევა მიკრობები და სიკვდილამდე ერთ წუთსაც კი აღარ არის თავისუფალი მათგან.

აღმოჩნდა, რომ ახალ-დაბადებულ ცხოველს შეუძლიან მხოლოდ რამდენიმე დღე იცოცხლოს მიკრობების დაუხმარებლად!

აი, სხვათა შორის, რამდენიმე ცდა ამ აზრის დასამტკიცებლათ. დაბადებისათანავე რამდენიმე ცხოველი მოათავსეს საგანგებოდ გაკეთებულ მანქანაში, სადაც ცხოველს ასუნთქებდნენ მიკრობებისაგან გაწმენდილ ჰაერს, ასაზრდოვებდნენ გადადუღებულ რძით, ერთი სიტყვით, ყოველი ღონის-ძიება იყო მიღებული, რომ მათ ნაწლევებს ერთი მიკრობიც კი არ მოჰხვედროდა. ამავე დროს სწორედ ამდენს ამ გვარსავე ცხოველს ზრდიდნენ ჩვეულებრივ: ესე იგი ასუნთქებდნენ ჩვეულებრივ გაუწმენდელ ჰაერს და აძლევდნენ აუდუღებელ რძეს. შემდეგ რომ შეადარეს, აღმოჩნდა: იმათ, რომლებიც ჩვეულებრივ გარემოებაში იზრდებოდნენ, ცამეტის დღის განმავლობაში 80% მოიმატეს წონაში, ხოლო პირველებმა-კი 7%, ესე იგი, თერთმეტჯერ უფრო ნაკლები. მეცამეტე დღიდგან დაწყებული-კი პირველთ არამც თუ აღარ მოიმატეს სიმძიმე, არამედ თან-და-თან იკლეს წონაში და ბოლოს დაიხოცნენ.

ეხლა რომ ჩვენ გაზრდილნი, უკვე განვითარებულნი ცხოველნი ავიღოთ გამოსაცდელად, შემდეგსა ვნახავთ: 29 ცხოველში, რომელიც წმინდა ჰაერს სუნთქავდა და უმიკრობებო საზრდოთი იკვებებოდა, ერთის კვირის განმავლობაში, 22 ცხოველი დაიხოცა, მაშინ როდესაც მეორე 29 ცხოველში, რომელნიც ჩვეულებრივ გარემოებაში იმყოფებოდნენ, მხოლოდ 11 დაიხოცა.

რომ მკითხველთათვის უფრო გასაგები იყოს მიკრობების სარგებლობა საჭმლის მონელებაში, ორიოდე სიტყვას ვეტყვით საზოგადოდ საჭმლის მონელების შესახებ ადამიანის საზრდოს მოსანელებელ მილში; ადამიანის სხეული შესდგება მრავალ უჯრედისაგან; ყოველის უჯრედის თვისებაა საჭირო ნივთიერების შეთვისება იმ საჭმლისაგან, რომლითაც იკვებება ადამიანი ყოველ დღე. ამ გვარია თვისება ყოველის უჯრედისა, ცალკე დაბალი არსება იქმნება იგი, თუ ნაწილი განვითარებულ სულიერ არსებისა. ამ თვისებაზედ არის დამყარებული ადამიანისა და საზოგადოდ ყოველ სულიერ არსების სიცოცხლე, უჯრედების გამრავლება და განვითარება. ყოველ უჯრედს შესაფერ საჭირო მასალას აძლევს სისხლი, ხოლო ამ უკანასკნელს-კი საჭმელი. ადამიანის სხეულისთვის, წყალისა და ზოგიერთ მარილის გარდა, საჭიროა ცილის ნაირი ნივთიერება, ქონი და აგრეთვე ის ნივთიერებანი, რომელნიც შესდგებიან შაქრისა და სახამებლისაგან.

ჩვენის საზრდოს მოსანელებელ მილის სხვა-და-სხვა ჯირკვლებს გამოაქვს სხვა-და-სხვა გვარი წვენი: პირის ჯირკვლებს—ნერწყვი, კუჭისას—კუჭის წვენი, ნაწლევებისას—ნაწლევების წვენი, ხოლო კუჭის ქვეშა ჯირკვალს ანუ პანკრეას—პანკრეატული წვენი, რომელიც საზრდოს მოსანელებელ მილის იმ ადგილას შემოდის, სადაც წვრილი ნაწლევები იწყება.

უკვე პირშივე იწყება საჭმლის მონელება: როდესაც საჭმელი იდება პირში, იგი სველდება ნერწყვით, რის გამოც საჭმელი უფრო ადვილათ ჩასრიალდება საჭმლის სადენ მილში, მაგრამ ნერწყვს კიდევ სხვა დანიშნულება აქვს; ნერწყვის წყალობით ის სახამებელი, რომელიც საჭმელშია, იქცევა შაქრათ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სახამებელი წყალში არ იხსნება, ხოლო შაქარი-კი ადვილად იხსნება და ადვილადვე გადის გარსში; სახამებელს-კი როდი შეუძლიან გარსში გაატანოს. ავიღოთ პურის ლუკმა და კარგად დავღეჭოთ და ცოტა ხანს გავაჩეროთ პირში; მალე ვიგრძნობთ, რომ პურს შესამჩნევი ტკბილი გემო მიეცა—რადგან სახამებელი, რომელიც პურშია, შაქრათ გადიქცა.

კუჭის წვენს სრულებით არავითარი მოქმედება არა აქვს სახამებელზედ; ეს წვენი ძლიერ ჩქარა ხსნის ცილისნაირ ნივთიერებას; მოხარშულის კვერცხის ცილა რომ აიღოთ და დაასხათ ხელოვნურად მომზადებული კუჭის წვენი და დასდოთ თბილ ადგილს, რამდენისამე ხნის შემდეგ კვერცხის ცილა სრულებით გაიხსნება.

პანკრეას და ნაწლევების წვენი სახამებელზედ ისე მოქმედებს, როგორც ნერწყვი, ხოლო ცილისნაირ ნივთიერებაზედ-კი კუჭის წვენივით. კუჭის ქვეშა ჯირკვლიდგან ანუ პანკრეადგან გამონადენი წვენი ქონს გლიცერინათ და საპნათ აქცევს; ორივენი წყალში იხსნება, ქონი-კი არა.

ეხლა დავუბრუნდეთ მიკრობებს და აღვნიშნოთ მათი დახმარება საჭმლის მონელებაში.

(შემდეგი იქნება)

ექიმი ბადრიძე.

სასოფლო მეურნეობა.

აუცილებელი პირობანი წიწილების ჯანმრთელობისა და მათის გამრავლებისათვის.

1). პირველ დღიდგან თითქმის ერთი თვე თვალ-ყური უნდა გეჭიროსთ, რომ წიწილები დილით ადრე ცვარში არ გავიდნენ და სადამოს გარეთ დიდ ხანს არ დარჩნენ.

2) საფრთხილოა გამსჭვალავი ქარი და მიწის სიგრილე.

ორსავე შემთხვევაში წიწილა ცივდება ხოლმე და აუტყდება ფაღარათი, რადგანაც მუცელი და ფეხები უცივდება; შეიძლება ფეხებიც დაუხუთდეს. წიწილების გაცივებას უნდა ერიდოთ თითქმის მეორე თვესაც, თორემ სურდო (თხიპი) აუცილებელია.

ავადმყოფი წიწილა უნდა რამდენიმე დღე თბილად შეინახოთ და აჭამოთ მოთბილო და რბილი (და არა თხელი) საჭმელი.

3). წიწილას ძალიან უყვარს წყალი და ისე უზომოდ სვამს, რომ პირიდგან ასხამს მეტ დანალევს; ამიტომ წყალი ცოტ-ცოტა უნდა ასვათ. წყალი უნდა იყოს უსათუოდ ახალი, წმინდა და წმინდა ჭურჭელში. რასაკვირველია, ჭურჭელი იქ არის პირველად საჭირო, სადაც მდინარეა და არა შემდეგში, რადგანაც წიწილები პირველ დროს არ უნდა მიუშვათ მდინარესთან.

4). საჭმელი (რბილი იქნება თუ მარცვალი) უსათუოდ ახალი უნდა იყოს; დამპალი და დამჟავებული დიდად მავნებელია, ამიტომ ყოველ სადამოს ის ჭურჭელი. რომლითაც წიწილებს საზრდოს აძლევენ, უნდა გაირეცხოს ცხელის წყლით, რაც შეიძლება სუფთად.

5) ხშირად მოხდება ხოლმე, რომ წიწილას უკან, მოსასკინტლავ ადგილზე, სკინტლი მიეკვრება, მიახმება ისე, რომ წიწილა ვეღარ სკინტლავს. ამისთანა წიწილას ეს ადგილი უნდა მოჰბანოთ ნელთბილის წყლით, მაკრატლით ბუნდღლი მოაჭრათ და უმარილო ქონი ან ვაზელინი წასცხოთ; თუ წიწილას თავის დროზედ ასე არ უშველეთ, უსათუოდ მოკვდება.

6). მოხდება ხოლმე, რომ ახლად გამოჩეკილი წიწილა, შესახედავად კარგათ მყოფი, ხშირად წივის ჭამის დროსაც; ბოლოს მჭლევდება და კვდება.

ამის მიზეზი არის ერთ გვარი წიწილას ტილი, მოგრძო ტანისა. ამ ტილს თავი ჩასობილი აქვს წიწილას თავის ან ტანის კანში და იქიდგან უმოწყალოდ სწოვს მსხვერპლს სისხლს.

ამისთანა წიწილას და სხვებსაც, რომ ტილები არ გაუჩნდეს, უნდა წასცხოთ კარგად თავზე, კისერზედ და იღლიებში ზეითუნის ზეთი. ეს უნდა გაიმეოროთ კვირაში ერთხელ და ტილი არ გაჩნდება.

7). საქათმეში წიწილების განყოფილება უსათუოდ ცალკე უნდა იყოს. თუ წიწილებისთვის ბინა სულ ცალკე იქნება,—ეს ხომ ყველაზედ უკეთესია. საწიწილე უნდა იყოს გრძელი, ნათელი და უსათუოდ ძალიან წმინდა. საწიწილე არის საჭირო 8-9 თვეს, მერმე-კი შეიძლება წიწილებისა და ქათმების შეერთება.

8). ამ ორის თვის განმავლობაში წიწილებს არ უნდა მოაკლდეს:

ა) თავის დროზე საჭმელი და სასმელი,

ბ) წმინდა ჰაერი, სილა, ან ხრეში და ნაჭუჭის ფხვნილი,

გ) გარეთ სირბილი, მოძრაობა,

დ) რიგიანი ზრუნვა მათის სიმრთელისათვის.

9). მესამე თვის პირველ რიცხვებში უნდა მოხდეს წიწილების (ვარიებისა და ყვინჩილების) გადარჩევა მათის ჯიშისამებრ იმ ნიშნების მიხედვით, რომლებითაც განირჩევიან სახორცე, კვერცხის მდებელი და საზოგადოდ სასარგებლო ფრინველები. ეს ნიშნები ამ დროს თითქმის ცხადად შეეტყობა ახალ თაობას. ის ვარიები და ყვინჩილები-კი, რომლებიც არც კარგან ნიშნებით და არც ჯანმრთელობით ეთანხმება ფრინველთ მომშენებელის გემოსა და მოთხოვნილებას, უნდა იქნეს მოშორებული.

10) დანარჩენი გუნდი უნდა გაიყოს ორ ჯგუფად: ერთი იქნება ვარიები და მეორე ყვინჩილები.

11) ვისაც უნდა ყვინჩილებიდგან კარგი მოსაშენებელი მამლები გამოზარდოს, ყვინჩილები უსათუოდ ცალკე უნდა შეინახოს და თითქმის გაზაფხულამდე არ მიაკაროს ვარიებს; უმისოდ უდროოდ დაიწყებენ დაპეპლვას, დასუსტდებიან, გახდებიან და შთამომავლობაც სუსტი ეყოლებათ და ამით სამუდამოდ გაფუჭდება ჯიში. არამც თუ ვარიების მოშორება, ყველა დედლებიც რომ მოაშოროთ მამლებს, მთელს ზამთარს, დიდს მოგებაში იქნებით, რადგანაც მამალი გაზაფხულამდე ძალიან მოკეთდება და გაზაფხულზე უფრო ნაყოფიანი გამოვა, ვიდრე ზამთარში არშიყობის შემდეგ. დედლები-კი უმამლოდაც კარგად დასდებენ კვერცხებს ზამთარში.

12) ჩვენში, მოსაშენებლად, ისეთი წიწილები უნდა შეინახოთ, რომლებიც გამოჩეკილია მარტში და აპრილის პირველ რიცხვებში.

13) საუკეთესო შთამომავლობას იძლევა ის ქათამი, რომელიც გამოჩეკილია დილით ადრე დადებულს კვერცხებიდგან.

შენიშვნა: აქ მოგვყავს ბ-ნ ჰ. ნ. ელაგინის საინტერესო გამოკვლევას:

1) კრუხის ქვეშ ამოდების წინ კვერცხი საშუალოთ იწონიდა:

პლიმუტროკის კვერცხი	15 მისხალს.
ბრამასი	14 „
ნაცრის ფერის ისპანიის ქათმისა	16 „
დორკინგისა	15 „
თეთრი იტალიისა	16 „
ვიანდოტისა	15 „
ლანგშანისა	14 „

ახალ გამოჩეკილი წიწილები თითოეულად ყველა ჯიშისა იწონიდა 8—9 მისხალს, ხოლო თი-

---

იესო, რომ მსაჯულნი მხოლოდ იმასა სცდილობდნენ, რომ იესო როგორმე შეეცდინათ, ეთქმევინებინათ ისეთი რამ, რაც დამნაშავეთ გამოიყვანდა, მაგრამ ამაოდ. იესო საოცარის თავმდაბლობით და მორჩილებით აძლევდა პასუხს. და როდესაც აღელვებული ხალხი წყევლა-კრულვით იხსენიებდა იესოს, იგი ისეთისავე მორჩილებით დაჰხრიდა თავს ძირს და სდუმდა.

— გაფიცებ შენს ღმერთს!—ჰკითხა მოთმინებიდან გამოსულმა კაიაფამ—ნამდვილი გვითხარი, შენა ხარ ქრისტე, ძე ღვთისა, თუ არა?

— მე ვარ იესო, ძე ღვთისა!—მოისმა წყნარი, მაგრამ მტკიცე პასუხი:—„ამიერიდან იხილოთ ძე კაცისა, მჯდომარე მარჯვენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.“

— ხალხნო, გაიგონეთ ამისი შეუპოვარი პასუხი,—გადასძახა ხალხს კაიაფამ—ნუ-თუ კიდევ სხვა მოწმეა საჭირო?

— სიკვდილის ღირსია, სიკვდილისა!—გრგვინავდა ხალხი.

იუდა-კი სულ სხვას ელოდა. ეგონა გაისმის იესოს ბრძნული, მჭევრ-მეტყველური სიტყვა, რომლითაც ათასჯერ გაუწბილებია მტერნი და თავს ინთავისუფლებსო, მაგრამ იესო სდუმდა, არას უპასუხებდა.

— არა, მასწავლებელი არ დაიღუპავს თავს. ალბად ის სულ სხვანაირად აპირებს თავის დაღწევას,— ფიქრობდა იუდა,—დაჰკრავს უკანასკნელი წამი და იესო თავ-ზარს დასცემს თავისს მსაჯულებს, მოახდენს იმისთანა სასწაულს, რომლის წინაშეც არა ერთხელ მოუხრიათ თავი მის მტრებსაც-კი.

ასე ფიქრობდა იუდა და ძალა-უნებურად მირბოდა იქითკენ, საითაც მისწრაფოდა ბრბო ხალხისა, ისე იგი, იქ, სადაც უნდა მომხდარიყო უკანასკნელი გამოკითხვა იესოსი.

იქაც ისევე ის განმეორდა, რაც კაიაფას სახლში. არც აქ დაიცვა იესომ თავისი თავი. იუდას შიში შეეპარა.—რას აპირებს? რას ჰნიშნავს ეს უალოგო მდუმარება, როდესაც უდანაშაულოა? რატომ არ იმართლებს თავს? ან იქნება უნდა, რომ მტერი ბოლომდის აწვალოს და, როდესაც მოთმინება დაეკარგება ყველას, მაშინ ჰსურს ციდან ცეცხლი აწვიმოს და ერთს წამში გადაბუგოს მტერნი თვისნი? ფიქრობდა იუდა.

მაგრამ ცაც და დედამიწაც დამშვიდებული იყო.

სულის შემხუთავი ბოღმა აწვება იუდას, პირი უშრება, ტანი მთლად უკანკალებს და გულის ძგერით ელის სამსჯავროს გადაწყვეტილებას.

კიდევ გაისმა ათასჯერ გამეორებული კითხვა.

— გვითხარი სწორედ, შენა ხარ ქრისტე, ძე ღვთისა, თუ არა?

— უკეთუ, გითხრათ, არა გრწმენეს ჩემი; და უკეთუ გკითხოთ თქვენ, ვერავე მომიგოთ მე, გინა განმიტევოთ!—იყო პასუხი.

— მაშ შენ ხარ ძე ღვთისა?—შეჰყვირეს მსაჯულთ ერთხმად.

— თქვენ ამბობთ, რომ მე ვარ,—უპასუხა იესომ დამშვიდებით.

— სიკვდილი მაგას! ეგ განგებ ჩემულობს ღმერთობას, მატყუარაა! ჩვენ ვთხოულობთ, რომ ეგ სიკვდილით დაისაჯოს! დაიგრიალა ხალხმა.

იუდა სასოწარკვეთილებას ეძლევა. ჰხედავს, რომ მოძღვარი დაიღუპა და მისის დაღუპვის მიზეზი იუდაა.

— მე დავღუპე ის, ჰფიქრობს იგი, მაგრამ ამას ხომ არ ველოდი. რა ვიცოდი, თუ ასეთი ბოლო ექნებოდა ჩემს დაწყებულს საქმეს. და როდესაც იესო წაიყვანეს პილატესთან, რომელსაც განჩინებაზე ხელი უნდა მოეწერა, იუდა შევარდა დარბაზში, სადაც სამსჯავროს წევრნი ჯერ ისევ ბჭობდნენ, ამოიღო ქისიდგან ოც-და-ათი ვერცხლის ფული, დაუყარა წინ და სასო-წარკვეთილებით შეჰყვირა:

— მე მოგყიდეთ უდანაშაულოს სისხლი! შემცოდე ვარ! არ მინდა ეს ფული, უკანვე წაიღეთ!

— ეგ რა ჩვენი საქმეა, შენ თითონ იწუხე!—გულ-გრილად მიუგეს მსაჯულთ.

ოჰ, რა ჯოჯოხეთი აენთო იუდას გულში! მთლად მიწასთან გასწორებული, გულ-მოკლული გამოვარდა გარეთ.

IV

როდესაც იუდა გონს მოვიდა და მიმოიხედა გარშემო, დაინახა, რომ თავის-და გაუგებრად უდაბურ ტყეში გაჩენილიყო. ტყეც თითქო ისევე იყო წყვდიადით მოცული, როგორც თვით იუდას არსება. ყველაფერი შიშის ზარსა სცემდა უბედურს! არაფერი არ ართობდა. არსად სჩანდა კლავინდებური ყვავილებით აჭრელებული მოცინარე სერი, არც ამწვანებული ხეები, არც მოწკრიალე, ანკარა ცივი წყარო, რომ მის დალევით გული გაეგრილებინა; არ ისმოდა ფრინველთა ჭიკჭიკი, ყველაფერს თავ-პირი ჩამოსტიროდა, ყველაფერს სამგლოვიარო სახე ედო. საშინელ ჯოჯოხეთად მოეჩვენა იუდას ეს სამარისებური სიჩუმე.

— ყველა გამირბის, ყველას ვეზიზღები, არავინ მიბრალებს, ის საზიზღარი ხვლიკიც-კი მემალება, ჰფიქრობს იუდა და აფეთებს აქეთ-იქით თვალებს, მაგრამ აის რა არის? აგერა, ის ლეღვის მაგვარი ხე, რა მწვანედ გაფურჩქვნილა! სწორედ გაზაფხულის მახარებელსა ჰგავს. თითქოს ნაყოფიც ასხია!.. აბა, პირი გავისველო. მაგრამ ეს რა არის? ეს ხომ ის ხეა, დიახ, ის ხე, რომლის ჩრდილ ქვეშ ამ ორის კვირის წინად იესომ და მისმა მოწაფეებმა თავი შეაფარეს. რა სიცოცხლე სჩანდა მაშინ მის მწვანე ხავერდივით ფოთლებ შორის! შიოდათ, ეგონათ ნაყოფს მოვკრებთ და შიმშილს მოვიკლავთო, მაგრამ ახლოს რომ მივიდნენ, ხე უნაყოფო გამოდგა.

— „ამიერიდან უქმ იყავ და არა შეგეხოს ხელი კაცისა“, ბრძანა იესომ და გაშორდა მატყუარა ლეღვის ხეს.

ახლაც მიუახლოვდა იუდა და დააცქერდა ამ ხეს. თუმცა ისევ ისე უზარ-მაზარი და მწვანე ფოთლებით დაბურული იყო, მაგრამ სადღა იყო ის სიცოცხლე, სინედლე, რომელიც იმ დროს ისე ამშვენებდა მის ამაყ ტოტებს. ყოველ ფოთოლს თავი ძირს ჩაექინდრა, ზოგ-ზოგი კიდეც გამხმარიყო, მაგრამ დედამიწას მაინც კარგა დიდს მანძილზედ სჩრდილავდა და იუდამაც ამ ჩრდილს შეაფარა თავი.

— ამიერიდან უქმ იყავ და არა შეგეხოს ხელი კაცისა!—გაისმა იუდას ყურებში და მისმა ტუჩებმაც რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვები. წარმოიდგინა თავისი თავი ამ ხეთ და შეადარა თავისი ცხოვრება ამ ხის ცხოვრებას. განა, ასე არის ჩემი ცხოვრებაც დაწყევლილი? გაიფიქრა იუდამ და თვალ-წინ წარმოუდგა თავისი წარსული და ის უშველებელი ქალაქი, რომელშიაც აქამდის სცხოვრებდა, იქაური ძველი ტაძრები,—სადაც თავი შეუფარებიათ ფარისეველთა და მატყუარათ, ის უვიცთა ბრბო, რომელიც გარს ეხვია იუდას და რომელიც სცემდა და სდევნიდა ყოველ ჰეშმარიტების მქადაგებელს. მოაგონდა ის დროც, როდესაც გამოჩნდა სიბრძნის მქადაგებელი, უუწმიდესი კაცი, რომელსაც გუშინ უგალობდნენ „ოსანა მაღალთა შინა! ოსანა ძესა უფლისასა! და დღეს-კი ჰღვრიან მის უმანკო სისხლს. ყოველივე ეს გაითვალისწინა იუდამ და დარწმუნდა, რომ მისი ქალაქში დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. რადა პირით მივა იქ, სადაც ისეთი სისაძაგლე ჩაიდინა; გასცა წმიდა კაცი, გლახაკთა შემბრალე, ჰეშმარიტების მქადაგებელი, სნეულთა მკურნალი. როგორც აიმ მზეს უკან ვერავინ ვერ გამოაბრუნებს, რომელიც აგერ ჩადის, ისე იუდა ვეღარ დაიბრუნებს იმას, რაც დაჰკარგა—სულის სიმშვიდეს.

აღელვებულმა იუდამ დაიჩოქა და აღაპყრო ზეცად თვალი, მაგრამ ცის ნაცვლად, მხოლოდ უნაყოფო ლეღვის ხის ტოტნი დაინახა, რომლებიც ჰირისუფლებსავით თითქო თავს დასტიროდნენ. მოეჩვენა, რომ ხის დამჭკნარი ფოთლები ვითომ რაღაცნაირად ჩურჩულებდნენ და ეს ჩურჩულის მზგავსი ფოთლების შრიალი გულზე ლახვარივით ესობოდა იუდას.

იუდა დარეტიანებულსავით წამოდგა, შემოიხსნა ტყავის ქამარი, ერთი წვერი მაგრად გამოაბა ერთ მსხვილ ტოტსა, მეორე გამოამარყუჟა და გაჰყო შიგ თავი...

გავიდა დრო. ის ძლიერი, დიდი ქალაქი, სადაც გასცეს და ჯვარს აცვეს იესო მაცხოვარი, მტვრად იქცა. უდაბურს, უტეხს ტყეში-კი ისევ სდგას გამხმარი ბებერი ხე. ის ხე არას დროს არავითარს ნაყოფს არ იძლევა. არც ერთი მწვანე ფოთოლი აღარ ამშვენებს მის ერთ დროს ამაყს ტოტებს, არ ჩრდილავს თვისს გარშემოს, ერთი სიტყვით, ხე არ სცოცხლობს, მაგრამ მისი სახელი-კი უკვდავია. დღესაც იუდას ხეს ეძახიან იმ ხეს.

ს. ციციშვილი.

თოკული ნარჩენი ნაჭუჭი თავის განიანად—$1^{1}/_{2}$ მისხალს.

ერთის კვირის შემდეგ წიწილები თითოეულად ყველა ჯიშისა იწონიდა 12—13 მისხლამდე.

სახელი ჯიშებისა	თითო-თითოთ იწონიდა მისხალს.				
	2 კვირის	3 კვირ.	4 კვირ.	5 კვირ.	6 კვირ.
პლიმუტროკი და ბრამა	19	22	25	—	—
თეთრი იტალიისა, ვიანდოტი, ლანგშანი	18	—	—	—	—
ნაცრის ფერი იტალიისა და ლორკინგი	17	20	—	25	31
ცალკე იტალიისა (თეთრი)	—	21	23	28	33
« პლიმუტროკი	—	22	25	31	38
« ბრამა	—	22	25	30	36
» ნაცრისფერი იტალიისა	—	20	21	25	30
« ლორკინგი	—	20	21	25	31
« ვიანდოტი და ლანგშანი	—	20	21	26	31

ეს იყო გამოცდილი პეტერბურგის საცდელ საფრინველეთში, პეტერბურგის ცუდს ჰავაში. თუ ამისთანა ჰავაში საზოგადოდ სასარგებლო ქათამმა—პლიმუტროკმა გადააჭარბა მეექვსე თვეს სხვას (38 მისხალი), ვიანდოტი და ლანგშანი გაუთანასწორდნენ ერთმანეთს, კვერცხის მდებელ თეთრმა იტალიურმა აჯობა პლიმუტროკის და ბრამის გარდა სხვებს,—რაღა თქმა უნდა, რომ ისინი ჩვენში ძალიან გამოდგებიან და უფრო მალეც შეიმოსებიან ბუნდღლით, ვიდრე პეტერბურგში.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 აპრილი.

პეტერბურგი. 8 აპრილს დაბრუნდა იმპერატორის სასახლის მინისტრი.

კამიშლოვი. საბჭო თხოულობს საქალაქო ბანკის დაარსებას.

ბაქო. კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი გ. ს. გოლიცინი შემახაში მივიდა.

ლონდონი. „სტანდარტის“ კორესპონდენტი პრეტორიიდგან დეპეშით იტყობინება 9 აპრილს: «საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ შეთანხმდნენ საცდელად და თვით ბურების თათხნობით აღმოაჩინეს მორიგების საფუძველნი. ბურგერებს სთხოვენ დანიშნულს დროსა და ადგილებზე მოიყარონ თავი, რომ შესაძლებელი იყოს ინგლისელების პირობების მოსმენა; ამ დროს განმავლობაში ომი არ იქნება შეჩერებული, გარდა იმ ადგილებისა, სადაც ბურებმა უნდა მოიყარონ თავი.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტო“ იტყობინება, რომ მაკედონიაში მოძრაობის გამო ბოლგარიის მმართებლობამ თავისს კომერციულ აგენტებს ოსმალეთში გაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც ატყობინებს თავისს გადაწყვეტილებას, რომ არავითარ მოძრაობას ოსმალეთში აჯანყების მოსახდენად ნებას არ მისცემს; ამასთანავე გაეგზავნა ცირკულიარი ბოლგარიის ყველა დიპლომატიურ წარმომადგენელთ საზღვარ-გარეთ, რომელშიაც განმარტებულია, რომ ბოლგარიის მთავრობა არავითარ მოქმედებას არ მიჰმართავს, თუ ოსმალეთის საქმეთა გასაუმჯობესებლად არ იქმნა მიღებული ზომები.

პეტერბურგი. სამეურნეო საბჭოს სესსია დაიხურა. უკანასკნელ სხდომაზედ საბჭომ მოისმინა მიწათ-მოქმედების მინისტრის სიტყვა ქალთა სამეურნეო განათლების საჭიროების შესახებ და სასურველად სცნო სპეციალურ საქალო სამეურნეო სასწავლებელთა დაარსება, ჯერ-ჯერობით-კი სასარგებლოდ დაინახა ხელი შეუწყონ ქალთათვის სამეურნეო კურსების დაარსებას. საკითხი შესახებ ჩენჩოსა და ქატოს გაზიდვისა, მებოსტნეობისა და მეხილეობის დამოყნის მფარველობისა და სამეურნეო საზოგადოებათა მოქმედების რაიონებისა გადიდვა მომავალ სესსიამდე.

9 აპრილი.

პეტერბურგი. დაინიშნა კოვალენსკი ტფილისის სამოსამართლო პროკურორად.

სახელმწიფო კომისია ვალების გადახდისა აცხადებს, რომ რადგანაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის 3% კუპონებს ვადა გაუვა 1902 წ. 2 ივნისს ამიტომაც ახალი კუპონები გამოიცემა შემდეგ 1902 ივნისისა.

კიევი. ფინანსთა მინისტრის განკარგულებისამებრ კიევის პოლიტეხნიკუმი გზავნის 72 სტუდენტს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე პრაქტიკისათვის; 90 სტუდენტს-ქიმიკოსს გზავნიან სპირტის გამოსახდელ ქარხნებში.

ერევანი. კავკასიის განყოფილება რუსეთის მებაღეობის საზოგადოებისა წრეულს ერევანში ჰმართავს მეფუტკრეობის გამოფენას.

სტოკჰოლმი. მთელს სახელმწიფოში 7 აპრილს დემონსტრაცია მოახდინეს, რომ საერთო ხმის უფლება იქმნას შემოღებული.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკელ ჰერალდი“ გადმოგვცემს, რომ მანაგვაში ნიკარგუას რესპუბლიკაში პრეზიდენტის მოწინააღმდეგე კონსერვატორთა დასის მომხრეებმა ააფეთქეს ყაზარმა. დაიღუპა 150 კაცი.

გონკონგი. ნანინგუფში ჯერ მშვიდობიანობაა, თუმცა მეამბოხეებმა ალყა შემოარტყეს 15 მილის მანძილზე.

კონსტანტინოპოლი. კონსულები იტყობინებიან: მარტოლეის მიდამოებში ბოლგარების ბრბოსა და ჟანდარმებს შუა შეტაკება მოხდაო. ამბობენ 2 ბოლგარელია მკვდარიო. დაპატიმრებულია დირექტორი ბოლგართა სკოლისა კეპრიელი, რომელსაც აბრალებენ, ხსენებულს ბრბოსთან კავშირი ჰქონდაო.

პორტ-არტური. ინკოუში წავიდა სამხედრო უწყების გემი „სამსონი“ ჩინეთის ნავების დასაცველად ნუნგუზების თავდასხმისაგან.

ყაზანი. სულით ავადმყოფთა სამკურნალო გაადიდეს იმდენად, რომ 700 კაცი დაეტევა შიგ.

პეტერბურგი. წარსულის თვის 25-დგან რკინის გზებზე შემოღებულ იქმნა ახალი ტარიფი თვალით ავადმყოფთა საქიმოდ მიმომავალ მკურნალთა გუნდისათვის.

პეტერბურგის ბირჟა, 5 აპრილი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,72^{1}/_{2}$
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$
4% სახელმწიფო რენტა	$96^{5}/_{8}$ გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$356^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	302 გაყიდ.
$4^{1}/_{2}$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^{1}/_{2}$ „
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	10850
,, კასპიის ამხანაგობისა.	4900 „
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	454 „
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	198 „
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში**:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ხ. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს საყოველთაოდ, რომ ამა აპრილის 18, დილის 12 საათზედ, დანიშნულია მის მიერ იჯარით გასაცემად ქალაქის მამულის ერთი ნაჭერი, რომელიც ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენია და რომელიც იმყოფება ქალაქ ტფილისის მე-10 საპოლიციო უბანში ტფილისის ტამოჟნის მახლობლად.

ვისაც ჰსურს, შეუძლიან პირობის გაგება ყოველ დღეს, გარდა უქმეებისა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე გამგეობის მე-4 განყოფილებაში. (3—б.—1)

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—б.—3)

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
„Парфюмерія
Рояль-Ралле“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდან. არბოლელისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 30
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,. 5
ამბავი მადლის ქვისა	,, 5
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,, 40
ბენია.	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკისა.	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა 1 მ.	,, 30
გლეხი-კაცის ისტორია, III - IV ტ. 1 მ.	,, 20
აღმზრდელი, აკაკისა	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
Древный Анчисхатскій соборъ	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენისა	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 ,, მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,, 20
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	,, 15
ელენე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	,, 3
პატარა ლორდის თავგადასავალი	,, 30
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	,, 1
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა.	,, 60
აერო დღესასწაული	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძისა.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული	,, 10
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა	,, 50
ისტორია ქართულ სტამბებისა	,, 15
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა.	,, 40
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნრ. ქუთათელაძისა	,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	,, 30
საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანისა.	,, 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა	,, 50
უკვდავთა დალადებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	,, 40
ქეთო და სოხა, საუმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	,, 25
კოპერნიკიდან დარვინამდე	,, 10
კანდელი, მ. ღლაშვილისა	,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
კუბიკები ქართულის ანბანისა	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა	,, 50
ევდოშვილისა	,, 50
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ბ. ყონჩოშვილისა	1 ,,

საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს-კი არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგათ გამოცხობისა, რის გამო მსყიდველი ხშირათ სტყუვდება. ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ

არ. ივ. ალიხანოვის
საკანდიტეროში

ვორონცოვის ძეგლთან

სააღდგომოდ მზადდება დიდ-ძალი პასკები და „კულიჩები“

ღირსება ჩემს სახელოსნოში მომზადებულ პასკებისა, რომელიც საუკეთესო მასალიდგან კეთდება ხოლმე, ყოველთვის საუცხოვო გემოშია, რაშიაც პატივ-ცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება. **Дрожевой заводъ К. ШУРЪ.**

2—327—2 პატივის-ცემით არ. ივ. ალიხანოვი.

ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“,

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის **მედლისა**

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

☞ კოხტად, სწრაფად და იაფად ☜

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, ,,ვერეიჩევისა და კამენმახერის'' ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852. (25—309—6)

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნეობისა და მეფუტკრეობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსულის წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგად გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია**. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ № 20 (10—301—10.)

Дозволено цензурою. Тифлисъ 8 апр. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.